

სს „ლიბერთი ბანკის“ აქციების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერის - „ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ზი.ვი“-ს გადაწყვეტილება #36/303

Resolution #36/303 of Georgian Financial Group B.V. in its capacity of the shareholder owning more than 75% shares of JSC Liberty Bank

ამსტერდამი, ნიდერლანდები
16 ივლისი 2021

Amsterdam, the Netherlands

„ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ზი.ვი“ (ყოფილი იუროფიან ფაინენშალ გრუპ ზი.ვი, ნიდერლანდების კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და არსებული კომპანია, რომლის მისამართია Locatellikade 1, 1076 AZ, ამსტერდამი, ნიდერლანდები, რეგისტრირებული 2015 წლის 20 იანვარს, დაფუძნების ნომერი: 000031442803; CCI #: 62435523; RSIN #: 854817165; შემდგომში „GFG“) წარმოდგენილი მისი დირექტორის, JTC Institutional Services Netherlands B.V.-ს მიერ (ნიდერლანდების კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და არსებული კომპანია, რომლის მისამართია Locatellikade 1, 1076 AZ ამსტერდამი, ნიდერლანდები, რეგისტრირებული 2008 წლის 14 აგვისტოს, დაფუძნების ნომერი: 000012321710; CCI #: 34292344; RSIN #: 818931887), როგორც სს „ლიბერთი ბანკის“ (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი და არსებული სააქციო საზოგადოება, რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი #74, რეგისტრირებული საიდენტიფიკაციო ნომრით 203828304; შემდგომში „ბანკი“) ჩვეულებრივი აქციების 75%-ზე მეტის მფლობელმა აქციონერმა, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 54.1¹ მუხლისა და „ბანკის“ წესდების შესაბამისად, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

Georgian Financial Group B.V. (former European Financial Group B.V. a company established and existing under the laws of the Netherlands, having its registered address at Locatellikade 1, 1076 AZ, Amsterdam, the Netherlands, registered on 20 January 2015 under the establishment number 000031442803, CCI #: 62435523; RSIN #: 854817165; hereinafter “GFG”) hereon duly represented by its sole board member, JTC Institutional Services Netherlands B.V. (a company established and existing under the laws of the Netherlands, having its registered address at Locatellikade 1, 1076 AZ Amsterdam, the Netherlands, registered on 14 August 2008 under the establishment number 000012321710; CCI #: 34292344, RSIN #: 818931887), owning more than 75% ordinary shares of JSC Liberty Bank (a joint stock company established and existing under the laws of Georgia, having its registered address at 74 I. Chavchavadze Avenue, Tbilisi, Georgia, registered under identification code 203828304, hereinafter the “Bank”), in accordance with Article 54.1.¹ of the Georgian Law on Entrepreneurs and the charter of the Bank, hereby adopted the following resolutions:

ვინაიდან:

1. „ბანკს“ გააჩნია პრივილეგირებული აქციების (შემდგომში „პრივილეგირებული აქცია“) ემისიის შესახებ 2012 წლის აგვისტოში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული პროსპექტის (შემდგომში „ემისიის პროსპექტი“) შესაბამისად გამოშვებული 4,565,384 ცალი „პრივილეგირებული აქცია“, რომელიც სრულად არის გადახდილი. „ემისიის პროსპექტის“ პირობების შესაბამისად, „პრივილეგირებული აქციის“ დივიდენდის წლიური განაკვეთი შეადგენს 17%-ს, რაც გულისხმობს რომ „ბანკის“ მიერ გადასახდელი დივიდენდი განისაზღვრება 0.17 (ჩვიდმეტი თეთრი) ლარით ერთ ცალ „პრივილეგირებულ აქციაზე“, რაც ჯამურად შეადგენს 776,115.28 ლარს;
2. „ემისიის პროსპექტის“ დამტკიცებისა და „პრივილეგირებული აქციების“ გამოშვების შემდეგ „ბანკი“ ყოველ წელს უზრუნველყოფს „პრივილეგირებული აქციების“ კუთვნილი დივიდენდის გადახდას წინა კალენდარული წლისთვის, „ემისიის პროსპექტით“ გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

WHEREAS:

1. The Bank has 4,565,384 issued, outstanding and fully paid convertible preferred shares (hereinafter “CPS”), issued in accordance with the convertible preferred share prospectus dated August 2012 approved by the National Bank of Georgia (hereinafter the “Prospectus”). In accordance with the terms and conditions of the Prospectus, the annual CPS dividend rate amounts to 17%, anticipating that the amount payable by the Bank equals to GEL 0.17 (seventeen tetri) per one CPS and GEL 776,115.28 in aggregate;
2. As of the approval of the Prospectus and issuance of CPS, the Bank insures, on yearly basis, CPS dividend pay-out for each preceding calendar year, subject to the terms and conditions of the Prospectus;

შესაბამისად გადაწყდა:

1. დამტკიცდეს 2020 წლის კუთვნილი „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის გადახდა 4,565,384 ცალ „პრივილეგირებულ აქციაზე“ წლიური 17%-ის ოდენობით, რაც ჯამში შეადგენს 776,115.28 ლარს, ან 0.17 ლარს ერთ ცალ „პრივილეგირებულ აქციაზე“;
2. „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის სააღრიცხვო თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 02 აგვისტო;
3. „პრივილეგირებული აქციების“ დივიდენდის გაცემის დაწყების თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 06 აგვისტო;
4. უფლებამოსილება მიენიჭოს „ბანკის“ გენერალურ დირექტორს, განახორციელოს წინამდებარე დოკუმენტით მიღებული გადაწყვეტილებები და ხელი მოაწეროს აღნიშნული გადაწყვეტილებების შესასრულებლად საჭირო ნებისმიერ და ყველა დოკუმენტს.

HEREBY RESOLVE AS FOLLOWS:

1. To approve the annual 17% CPS dividend pay-out for the year 2020 in respect of 4,565,384 CPS with the aggregate CPS dividend amount of GEL 776,115.28 or GEL 0.17 per one CPS;
2. To determine 02 August 2021 as the CPS dividend record date;
3. To approve 06 August 2021 as the CPS dividend pay-out starting date;
4. To approve and authorise the Chief Executive Officer of the Bank to implement the resolutions made herein and sign any and all documents for successful implementation of such resolutions.

დასტურები და თანხმობები:

CONFIRMATIONS AND RATIFICATION:

GFG-მ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები მიიღო სრული გულისხმიერებით, ყველა შესაბამისი ფაქტისა და გარემოების გათვალისწინებით და მიაჩნია რომ:

ა) მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება (i) შეესაბამება „ბანკის“ საუკეთესო კორპორატიულ ინტერესებს და არის „ბანკის“ კორპორატიული მიზნების რეალიზაციის ხელშეწყობი და სასარგებლო და (ii) არ იქნება „ბანკის“ კრედიტორების (ამჟამინდელი და მომავალი) ინტერესებისთვის საზიანო; და
ბ) მესამე პირებს, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს საარბიტრაჟო ტრიბუნალებს, სათანადო კომპეტენციის მქონე სასამართლოებს, სახელმწიფო ორგანოებს და იურიდიულ კომპანიებს, შეუძლიათ მიიღონ სარწმუნოდ წინამდებარე დოკუმენტით მიღებული გადაწყვეტილებები.

შესაბამისად ხელმოწერილია:

„ჯეი ტი სი ინსტიტუშენალ სერვისიზ ნედერლანდს“ ბი.ვი
ჯორჯიან ფაინენშალ გრუპ ბი.ვი-ის დირექტორი

ფილიპ ვილემ ვან დერ ჰეიჯენ
Philip Willem van der Heijden

ჯეი ტი სი ინსტიტუშენალ სერვისიზ ნედერლანდს ბი.ვი-
ის სახელით
On behalf of JTC Institutional Services Netherlands B.V.

GFG hereby adopted present resolutions in good faith, considering all relevant facts and circumstances and it considers that:

a) The implementation of the resolutions adopted (i) to be in the best corporate interest of the Bank and conducive to the realisation of and useful in connection with the corporate objectives of the Bank and (ii) not to be prejudicial to the interests of (present and future) creditors of the Bank; and
b) Third parties, including but not limited to arbitral tribunals, competent courts, state authorities and law firms may rely on the present resolution.

THUS signed by:

JTC Institutional Services Netherlands B.V.
Sole board member of Georgian Financial Group B.V.

მაქს კლუსტერჰუისი
Max Kloosterhuis

ჯეი ტი სი ინსტიტუშენალ სერვისიზ ნედერლანდს
ბი.ვი-ის სახელით
On behalf of JTC Institutional Services Netherlands B.V.